ხელშეკრულება # RDAAM----------
ბენეფიციარის თანადაფინანსების შესახებ

ქ. თბილისი **-------- 20-- წ.**

ერთი მხრივ, **ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო** (ს/ნ 404923785), რომლის იურიდიული მისამართია მარშალ გელოვანის N 6, თბილისი, 0159, საქართველო, ხოლო ფაქტობრივი მისამართი – ახმეტელის გამზ. 10ა, თბილისი, 0159, საქართველო, წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ---------- სახით და

მეორე მხრივ, **----------** (პ/ნ / ს/ნ ----------) მის: ----------

ვინაიდან ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო ახორციელებს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N135 დადგენილებით დამტკიცებულ „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამას“ (შემდგომში - პროგრამა);

ვინაიდან პროგრამის ერთ-ერთი განმახორციელებელია ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო;

თითოეული წოდებული მხარედ, ხოლო ერთობლივად მხარეები, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

ტერმინთა განმარტება:

სააგენტო	ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო (ს/ნ 404923785) მისი ყველა უფლებამონაცვლე და სამართალმემკვიდრე;
ბენეფიციარი	---------- (პ/ნ / ს/ნ ----------) მისი ყველა უფლებამონაცვლე და სამართალმემკვიდრე;
ხელშეკრულების მხარე	ბენეფიციარი ან სააგენტო;
ხელშეკრულების მხარეები	ბენეფიციარი და სააგენტო ერთად;
თანადაფინანსება	სააგენტოს მიერ პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარისთვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით გადახდილი მიზნობრივი თანხები, ;

ტრანში	წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული მიზნობრივი თანადაფინანსება სრულად ან თანადაფინანსების საერთო მოცულობის ნაწილი;
პროგრამა	სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა
პროექტი	წინამდებარე ხელშეკრულების დანართში N1 მოცემული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვის პროექტი;
კონფიდენციალური ინფორმაცია	ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარის შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;
დანართი N1	სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვის პროექტი;
დანართი N2	თანადაფინანსების (ტრანშების) გაცემის წინაპირობები და მიზნობრივად ხარჯვის დადასტურება.

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სააგენტოს მიერ ბენეფიციარისთვის დანართით N1 გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესასყიდად საჭირო ფულადი სახსრების საერთო მოცულობის ნაწილის ---------- (----------) ლარით თანადაფინანსება ხელშეკრულებითა და პროგრამით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. ბენეფიციარი უფლებამოსილია:

2.1.1 მოითხოვოს თანადაფინანსების მიღება არაუგვიანეს მიმდინარე წლის 30 ნოემბრისა, ხელშეკრულების დანართი N2 და პროგრამის პირობების შესაბამისად.

2.2. ბენეფიციარი ვალდებულია:

2.2.1 ხელშეკრულების მე - პუნქტის 2.1 ქვეპუნქტის 2.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადაში უზრუნველყოს ხელშეკრულების დანართით N1 განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვა;

2.2.2 განახორციელოს ტრანშების ათვისება ხელშეკრულების დანართით N2 განსაზღვრული პირობების მიხედვით;

2.2.3 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესასყიდად საჭირო საკუთარი/მოზიდული ფულადი სახსრები გადარიცხოს მომწოდებელთან და წარმოადგინოს სააგენტოში ბანკის მიერ დამოწმებული საგადახდო დავალება ან/და შემოსავლის ორდერი ხელშეკრულების დანართის N2 შესაბამისად;

2.2.4 ლიზინგის შემთხვევაში წარმოადგინოს სალიზინგო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება, დანართი N1-ით გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ლიზინგით გადაცემის შესახებ;

2.2.5 თუ სააგენტოს თანადაფინანსების გაცემის წინაპირობა არის, ბენეფიციარის მიერ საკუთარი თანამონაწილეობის თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, ბენეფიციარის საბანკო ანგარიშზე სააგენტოს მიერ თანხის ჩარიცხვის შემდგომ, სააგენტოში 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს ბანკის მიერ დამოწმებული საგადახდო დავალება ან/და შემოსავლის ორდერი, წარდგენილი ინვოისით გათვალისწინებულ მიმწოდებლის საბანკო ან/და სალიზინგო კომპანიის ანგარიშ(ებ)ზე თანხის გადარიცხვის დასადასტურებლად;

2.2.6 მოახდინოს ხელშეკრულების დანართით N1 განსაზღვრული ტექნიკის შეძენის დადასტურდება სასაქონლო ზედნადებით ან/და განბაჟების დამადასტურებელი დოკუმენტით (ტექნიკის იმპორტის შემთხვევაში), რომელიც გაფორმებული იქნება ბენეფიციარის სახელზე, გარდა სასოფლო-სამერნეო ტექნიკის ლიზინგით შეძენისას;

2.2.7 უზრუნველყოს საველე/დოკუმენტური მონიტორინგის განხორციელებისთვის საჭირო პირობების შექმნა;

2.2.8 სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, წარადგინოს ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რაც დაკავშირებულია სააგენტოს თანადაფინანსებასთან ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში ან სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სხვა ვადაში;

2.2.9 ხელშეკრულების დანართით N1 განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების გაზრდის შემთხვევაში, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს სხვაობის გადახდა, ხელშეკრულებისა და პროგრამის პირობების შესაბამისად;

2.2.10 პროგრამის ფარგლებში შეძენილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა (რომელიც არის იდენტიფიცირებადი და ენიჭება სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიცირების სახელმწიფო ნომერი გაცემული სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ მიერ) დააგირავოს სააგენტოს სასარგებლოდ 5 (ხუთი) წლის ვადით. ამასთან, სააგენტოს გირავნობა შესაძლოა იყოს რიგით მეორე მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემული კრედიტი და ამ კრედიტის უზრუნველსაყოფად საფინანსო ინსტიტუტი არის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პირველი რიგის მოგირავნე. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაგირავებას სააგენტო არ განახორციელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს ლიზინგი, ამასთანავე, თუ ტრანშის გაცემიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში მოახდენს სალიზინგო კომპანიისაგან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გადმოფორმებას, დააგირავოს სააგენტოს სასარგებლოდ გადმოფორმებიდან 5 (ხუთი) წლის ვადის გასვლამდე დარჩენილ პერიოდზე.

2.2.11 სააგენტოს თანხმობის გარეშე არ განახორციელოს ხელშეკრულების დანართით N1 გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნებისმიერი სახით გასხვისება შესყიდვიდან 5 წლის განმავლობაში;

2.2.12 პროგრამის ფარგლებში შეძენილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა შეძენიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ უნდა გადაკვეთის საქართველოს საზღვარი;

2.2.13 დაიცვას ხელშეკრულებითა და პროგრამით გათვალისწინებული პირობები.

2.3. სააგენტო უფლებამოსილია:

2.3.1 ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, განახორციელოს ხელშეკრულების დანართით N1 განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესასყიდად განსაზღვრული თანხების (თანამონაწილეობისა და თანადაფინანსების თანხა) ხარჯვის და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი პირადად, ან დამოუკიდებელი სპეციალისტის/ექსპერტის/აუდიტორის მეშვეობით, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება ბენეფიციარის საქმიანობის ადგილზე შემენილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოწმებითა ან/და დოკუმენტური მონიტორინგით;

2.3.2 მოსთხოვოს ბენეფიციარს ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა, რაც დაკავშირებულია სააგენტოს თანადაფინანსებასთან ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან;

2.3.3 ბენეფიციარის მიერ ხელშეკრულების მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსთხოვოს ბენეფიციარს პირგასამტეხლო ხელშეკრულების მე-3 პუნქტის შესაბამისად ან/და შეწყვიტოს ხელშეკრულება.

2.4. სააგენტო ვალდებულია:

2.4.1. გასცეს თანადაფინანსება ხელშეკრულების, პროგრამის პირობების და ბენეფიციარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ მომენტში, ხელმისაწვდომი იქნება შესაბამისი ბიუჯეტი.

3. ბენეფიციარის პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების შეწყვეტა

3.1 თუ ბენეფიციარი დაარღვევს ხელშეკრულების მე-2 პუნქტის 2.2. ქვეპუნქტის 2.2.7; 2.2.11 და 2.2.12 ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვალდებულებას, სააგენტო უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს ბენეფიციარს მიღებული თანადაფინანსების სრული თანხის უკან დაბრუნება.

3.2 თუ ბენეფიციარი დაარღვევს ხელშეკრულების მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის 2.2.5; 2.2.8; ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვალდებულებას, დაეკისრება პირგასამტეხლო მიღებული თანადაფინანსების ოდენობის 0.05%-ი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს თითოეული ქვეპუნქტის დარღვევისთვის 5 000 ლარისა. ამასთან იმ შემთხვევაში, თუ დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს სააგენტოს თანადაფინანსების 10%-ს, სააგენტო უფლებამოსილია შეწყვიტოს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება და ბენეფიციარს დააკისროს მიღებული თანადაფინანსების თანხის და დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდა.

3.3 სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში ბენეფიციარი ვალდებულია გადაუხადოს სააგენტოს დაკისრებული თანადაფინანსების თანხა სრულად და დარიცხული პირგასამტეხლო.

3.4 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

3.4.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში;

3.4.2 ვადამდე, ნებისმიერი მიზეზით, მხარეების მიერ შეთანხმების შემთხვევაში;

3.4.3 ბენეფიციარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

3.4.4 ხელშეკრულების დანართით #2 განსაზღვრული ტრანშ(ებ)ის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში არ მოთხოვნის შემთხვევაში;

3.4.5 კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

3.5 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ბენეფიციარი არ თავისუფლდება ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისაგან.
3.6 სააგენტოს მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, სააგენტოს არ წარმოეშობა რაიმე ვალდებულებები ბენეფიციარის მიმართ.

4. კონფიდენციალური ინფორმაცია

4.1 მხარე ვალდებულია, როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგ, არ გაამჟღავნოს ან/და მესამე პირ(ებ)ს არ გადასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.
4.2 კონფიდენციალურ ინფორმაციას არ განეკუთვნება: (ა) სახელმწიფო/საჯარო უწყებებისთვის მიწოდებული ინფორმაცია ან ინფორმაცია რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე არის/გახდება საჯარო; (ბ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნების თაობაზეც არსებობს კონფიდენციალური ინფორმაციის მესაკუთრე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობა ან/და მხარეთა ხელშეკრულება; (გ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის მესამე პირ(ებ)ის კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად.
4.3 სააგენტოს აქვს უფლება გამოიყენოს ბენეფიციარის შესახებ ინფორმაცია სარეკლამო მასალებში, მარკეტინგული ან სხვა საინფორმაციო მიზნებისთვის, საკუთარი შეხედულებისამებრ, ბენეფიციარის თანხმობის გარეშე, ასევე გამოაქვეყნოს ინფორმაცია სააგენტოს კუთვნილ ვებ გვერდზე www.rda.gov.ge .

5. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პირობები

5.1 სააგენტო პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და სააგენტოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ შესაბამისად.
5.2 ბენეფიციარი აცხადებს თანხმობას, სააგენტომ დაამუშავოს ბენეფიციარის პერსონალური მონაცემები ხელშეკრულების დადებისა და განხორციელების, ბენეფიციარზე ხელშეკრულებითა და კანონით დაკისრებული მოვალეობების შესრულების და სხვა ლეგიტიმური მიზნით.
5.3 ბენეფიციარი აცხადებს, რომ სააგენტო, კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით, უფლებამოსილია გადაამოწმოს და მიიღოს ინფორმაცია ბენეფიციარის პერსონალური მონაცემების შესახებ, რომელიც აუცილებელია წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის. ბენეფიციარი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოსთხოვოს სააგენტოს ინფორმაცია მისი მაიდენტიფიცირებელი პერსონალურ მონაცემთა შენახვის წესის, ვადის, მასზე წვდომაზე უფლებამოსილი პირებისა და უსაფრთხოების შესახებ, ხოლო სააგენტო ვალდებულია გადასცეს ბენეფიციარს აღნიშნული ინფორმაცია.
5.4 ბენეფიციარი აცხადებს, რომ იგი თანახმაა სააგენტომ მასთან ურთიერთობა დაამყაროს ბენეფიციარის იმ საკონტაქტო მონაცემების მეშვეობით (ელ-ფოსტა, მისამართი, სატელეფონო ნომერი), რომელიც მან თავად გადასცა სააგენტოს ან საჯაროდ ხელმისაწვდომია სააგენტოსთვის.
5.5 ბენეფიციარის მოთხოვნის შემთხვევაში, სააგენტო ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

5.6 ბენეფიციარი აცხადებს, რომ მისთვის ცნობილია, რომ სააგენტომ შესაძლოა მისი პერსონალური მონაცემები გადასცეს საკურიერო კომპანიას გზავნილის ჩაბარების მიზნით ან/და ნებისმიერ მესამე პირს, რომელიც მომსახურებას უწევს სააგენტოს. მხოლოდ მომსახურების გაწევისათვის საჭირო ფარგლებში და იმ პირობით რომ თითოეული მესამე პირი დაიცავს გადაცემული პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობას.

5.7 ბენეფიციარს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, გაიხმოს მის მიერ წინამდებარე მუხლით გაცემული თანხმობები. ამ შემთხვევაში, ბენეფიციარის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება შეწყდება ან/და დამუშავებული მონაცემები წაიშლება ან განადგურდება თუ არ არსებობს მათი დამუშავების სხვა საფუძველი.

5.8 ბენეფიციარი აცხადებს, რომ მისთვის ცნობილია, რომ ხელშეკრულებაში აღნიშნული პერსონალური მონაცემების შენახვა სააგენტოს მიერ ხდება ხელშეკრულების მოქმედების ვადით და ვადის გასვლის შემდეგ, იმ ვადით რაც შეესაბამება სააგენტოს ლეგიტიმურ ინტერესებს. ხელშეკრულების მხარეების შესაძლო საჩივრების/სარჩელების განხილვისათვის სათანადო მტკიცებულებების შენარჩუნების ინტერესს, ასევე იმ ვადით, რომელიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

5.9 ბენეფიციარი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ ის გაეცნო და ეთანხმება სააგენტოს ვებ გვერდზე rda.gov.ge გამოქვეყნებულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტს.

5.10 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით ბენეფიციარს შეუძლია მიმართოს სააგენტოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, შემდეგ ელ-ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნის გზით: dpo@rda.gov.ge

6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები დროებით თავისუფლდებიან ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების შესრულებისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში.

6.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის, ფორს-მაჟორული გარემოებები წარმოადგენს ნებისმიერი გაუთვალისწინებელი გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება მხარეთა გონივრულ კონტროლს და რომლის დადგომაც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებას. ამგვარი გარემოებები და მოვლენები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება, სტიქიური უბედურებებით, საყოველთაო გაფიცვებით, საბოტაჟით ან სხვა სახის სამოქალაქო მღელვარებით ან არეულობით, ომით (მიუხედავად იმისა გამოცხადებულია იგი თუ არა), ან სხვა სამხედრო, ტერორისტული ან პარტიზანული ქმედებებით, ბლოკადით, აჯანყებებით, მიწისძვრით, წყალდიდობით, მეწყრით, ზვავით ან სხვა მოვლენით, რომელიც არ ექვემდებარება მხარის გონივრულ კონტროლს და რომლის თავიდან აცილებაც მხარეს, ყველა გონივრული და შესაძლო ზომების მიღების მიუხედავად, არ შეუძლია. ამასთან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას.

6.3 მხარე, რომელიც ვერ ასრულებს ხელშეკრულებით დადგენილ უფლება-მოვალეობებს ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის და შეწყვეტის თაობაზე შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი გარემოებების წარმოშობიდან 10 (ათი) დღისა. თუ მხარე არღვევს ამ ვადას, იგი ვალდებულია წარმოადგინოს დასაბუთებული ინფორმაცია ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას მიუთითოს აღნიშნულ გარემოებებზე. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს გარემოებების და/ან

მოვლენების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ მხარის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების გადავადების სავარაუდო თარიღი.

6.4 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობისას და მათი დადასტურების შემთხვევაში, მხარეების მიერ ვალდებულებების შესრულების ვადები პროპორციულად გადაიწევს ფორს-მაჟორული გარემოებების და/ან მოვლენების ხანგრძლივობის ვადით, ან სხვა ვადით რაზეც მხარეები დამატებით შეთანხმდებიან.

7. ინფორმაციის გაცვლის წესი

7.1 წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის, ბენეფიციარს ინფორმაცია მიეწოდება, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით ან სატელეფონო შეტყობინების გზით.

7.2 ფოსტით ან კურიერის მეშვეობით ინფორმაციის მიწოდების ფაქტი დასტურდება ბენეფიციარის მისი ოჯახის წევრის მიერ ინფორმაციის (გზავნილის) მიღების შესახებ შესაბამის დოკუმენტზე ხელმოწერით.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი უარს აცხადებს ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მიწოდებული ინფორმაციის (გზავნილის) მიღებაზე, კეთდება შესაბამისი ჩანაწერი და ინფორმაცია (გზავნილი) ითვლება ჩაბარებულად.

7.4 იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი არ აღმოჩნდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე და ვერ მოხერხდება ინფორმაციის (გზავნილის) ჩაბარება, სააგენტო თავისუფლდება ხელმეორედ სცადოს ინფორმაციის (გზავნილის) მიმღებისათვის ჩაბარება, ასეთ შემთხვევაში ინფორმაცია (გზავნილი) ითვლება ჩაბარებულად.

8. სხვა პირობები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება არის უპირატესი ძალის მქონე მხარეებს შორის მის ხელმოწერამდე არსებულ ნებისმიერ ხელშეკრულებასა და მიმოწერასთან (მათ შორის ელექტრონული) მიმართებაში. შეტყობინება უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით. შეტყობინება მხარეებს უნდა მიეწოდოს კურიერის ან დაზღვეული წერილის მეშვეობით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე.

8.2 ინფორმაცია პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარის თანადაფინანსების თაობაზე საჯაროა;

8.3 ბენეფიციარი აცხადებს თანხმობას, რომ სააგენტომ შეუზღუდავად, ნებისმიერ დროს მოიძიოს, მიიღოს და/ან დაამუშავოს ბენეფიციარის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური მონაცემი).

8.4 წინამდებარე ხელშეკრულება ვრცელდება მხარეთა სამართალმემკვიდრეებზე და უფლებამონაცვლეებზე, მაგრამ ბენეფიციარს სააგენტოს თანხმობის გარეშე არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს მასზე დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება.

8.5 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ასეთ უფლებაზე უარის თქმას;

8.6 ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას.

8.7 ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

8.8 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება შეიძლება განხორციელდეს მხარეთა შეთანხმებით, მხოლოდ წერილობითი ფორმით.

8.9 მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა საკითხი, დავა და ურთიერთობა რეგულირდება, განიმარტება და გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.10 ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლოს.

8.11 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

8.12 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად და გადაეცემათ მხარეებს.

9. მხარეთა საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები:

ბენეფიციარი:	სააგენტო:
---------- ---------- მისამართი:---------- ბანკი: ---------- ბანკის კოდი: ---------- ა/ა: ---------- _____ ----------	ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო“ ს/ნ 404923785 მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის 6 ელ. ფოსტა: info@rda.gov.ge საქართველოს ხაზინის ერთიანი ანგარიში კოდი: TRESGE22 _____ ---------- **დირექტორის მოადგილე**

დანართი 1

ბენეფიციარი: ----------

ბენეფიციარის პ/ნ / ს/ნ: ----------

განაცხადის ნომერი: ----------

1. ინფორმაცია განაცხადის მიხედვით განსახორციელებელი პროექტის შესახებ:

1.1 პროექტის მიზანი: სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვა.

1.2. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა:

სასოფლო სამეურნეო ტექნიკის მოდელი:	

1.3. ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიმწოდებლის შესახებ:

ტექნიკის დასახელება:	მიმწოდებელი კომპანია
-------	----------
---------	----------

2. პროექტის ფინანსური მხარე:

2.1. განსახორციელებელი ინვესტიციები (ბენეფიციარის თანამონაწილეობა და სააგენტოს დაფინანსების ოდენობა):

დასახელება	რაოდენობა	ღირებულება (ლარი)	ბენეფიციარი (ლარი)	თანამონაწილეობა (%)	სააგენტო (ლარი)	დაფინანსება (%)
სულ ჯამური ღირებულება						

დანართი N2

თანადაფინანსების (ტრანშების) გაცემის წინაპირობები და მიზნობრიობის დადასტურება;

3. სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობა და ტრანშების რაოდენობა

3.1 სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს ----------ლარი.

3.2 სააგენტოს თანადაფინანსების ათვისება განხორციელდება --- (----) ტრანშად:

ტრანშის #	*თანხა*
ტრანში #1	----- ლარი

4. თანადაფინანსების გაცემის წინაპირობები

4.1 თანადაფინანსების (ტრანშები) გაცემამდე ბენეფიციარი ვალდებულია წარმოადგინოს:

4.1.1 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის - (დასახელება----------) ღირებულების ან ღირებულების ნაწილის, არანაკლებ ---------- ლარის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი (საგადახდო დავალება/შემოსავლის ორდერი). გადარიცხვა განხორციელებული უნდა იყოს შემდეგ რეკვიზიტებზე:

- ✓ მიმღები: ----------
- ✓ მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი: ----------

4.1.2 იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს ლიზინგი, სალიზინგო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი.

4.1.3 ტექნიკის ადგილობრივი მომწოდებლის შემთხვევაში მომწოდებელი კომპანიის მიერ გამოწერილი სასაქონლო ზედნადები, ხოლო იმპორტის შემთხვევაში განბაჟების დამადასტურებელი დოკუმენტი;

4.1.4 სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა არ ექვემდებარება რეგისტრაციას (მხოლოდ არაიდენტიფიცირებადი ტექნიკის შემთხვევაში)

4.1.5 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რეგისტრაციის მოწმობა და ცნობა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ (მხოლოდ იდენტიფიცირებადი ტექნიკის შემთხვევაში)

4.2 თანადაფინანსების (ტრანშები) გაცემამდე ბენეფიციარი ვალდებულია უზრუნველყოს პროგრამის ფარგლებში შეძენილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (რომელიც არის იდენტიფიცირებადი და ენიჭება სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიცირების სახელმწიფო ნომერი გაცემული სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ) დაგირავება სააგენტოს სასარგებლოდ (გარდა ლიზინგისა), თანადაფინანსების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე. სააგენტოს გირავნობა შესაძლოა იყოს რიგით მეორე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემული სესხი, რომლის უზრუნველსაყოფადაც საფინანსო ინსტიტუტი არის ტექნიკის პირველი რიგის მოგირავნე.

5. **თანადაფინანსების მიზნობრიობის დადასტურება;**

5.1 იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარს სრულად არ აქვს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულება გადახდილი ტრანშის N1 მიზნობრიობის დასადასტურებლად, ბენეფიციარი ვალდებულია წარმოადგინოს:

5.1.1 ტრანშის გაცემიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში, საგადახდო დავალება/შემოსავლის ორდერი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის - (დასახელება---------)ღირებულება არანაკლებ -------- ლარის მომწოდებლის ---------- (ს/კ ----------) ან/და სალიზინგო კომპანიის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის დამადასტურებლად;

5.1.2 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უცხოურ ვალუტაში შესყიდვის შემთხვევაში: თუ ტრანშის გადარიცხვის მომენტისათვის თანხის ოდენობა ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ნაკლები აღმოჩნდა ---- აშშ დოლარზე/ევროზე, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს დამატება, ხოლო თუ მეტი აღმოჩნდება უზრუნველყოს სხვაობის სააგენტოსთვის დაბრუნება და შესაბამისი საგადახდო დავალების წარმოდგენა;